

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით<sup>1</sup> დამტკიცდა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმა“<sup>2</sup>. ამ აქტის მიხედვით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს<sup>3</sup> და ევალა ეროვნულ უმცირესობათა მიმართებაში პოლიტიკის შემუშავება და კოორდინირება, აგრეთვე ყოველ წელს საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტთან არსებული საბჭოს<sup>4</sup> წინაშე ანგარიშის წარდგენა. ამ პროცესების კოორდინირებულად განხორციელების მიზნით, საქართველოს ვიცე პრემიერ-მინისტრის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის 2009 წლის 3 ივლისის №14 ბრძანების<sup>5</sup> საფუძველზე შეიქმნა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია<sup>6</sup>, ხოლო 2011 წლის 24 იანვრის №7 ბრძანებით<sup>7</sup> განახლდა მისი შემადგენლობა.

კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი თანამშრომლები, ასევე შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების, აგრეთვე თბილისის საკრებულოს და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სამი სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კერძოდ:

- ❖ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის
- ❖ პრეზიდენტის ადმინისტრაციის
- ❖ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის
- ❖ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
- ❖ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
- ❖ რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
- ❖ იუსტიციის სამინისტროს
- ❖ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
- ❖ შინაგან საქმეთა სამინისტროს
- ❖ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
- ❖ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის
- ❖ მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ცენტრის
- ❖ გამოცდების ეროვნული ცენტრის

<sup>1</sup> [http://www.smr.gov.ge/uploads/file/gankarguleba%20%23348\\_080509.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/gankarguleba%20%23348_080509.pdf)

<sup>2</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/geo.pdf>

<sup>3</sup> <http://www.smr.gov.ge/ge/home>

<sup>4</sup> <http://diversity.ge/geo/resources.php?coi=0|12|13|13>

<sup>5</sup> [http://www.smr.gov.ge/uploads/file/brdzaneba%20%2314\\_03\\_07\\_09.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/brdzaneba%20%2314_03_07_09.pdf) ; [http://www.smr.gov.ge/uploads/file/brdzaneba%20%237\\_22\\_03\\_10.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/file/brdzaneba%20%237_22_03_10.pdf)

<sup>6</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/IAC-sia-rekvizitebi.pdf>

<sup>7</sup> [http://www.smr.gov.ge/uploads/vice\\_prime\\_minister-decree\\_7-24.01.11.pdf](http://www.smr.gov.ge/uploads/vice_prime_minister-decree_7-24.01.11.pdf)

- ❖ ცენტრალური საარჩევნო კომისიის
- ❖ სახალხო დამცველის აპარატის
- ❖ საზოგადოებრივი მაუწყებლის
- ❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
- ❖ თბილისის საკრებულოს
- ❖ ქვემო-ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის
- ❖ სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის
- ❖ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის

კომისია თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან<sup>8</sup>, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სახალხო დამცველის აპარატთან და ტოლერანტობის ცენტრთან<sup>9</sup>, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კომისია სისტემატიურად მართავს სხდომებს სხვადასხვა თემატური დღის წესრიგით.

„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის“ მიზნების, პრინციპების და მიდგომების აღსრულების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების და სამთავრობო უწყებების (სამინისტროების და სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების), აგრეთვე ქ.თბილისის მერიისა და საკრებულოს, ისევე როგორც ქვეყნის სხვა სამი რეგიონის - ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციებისა და ამ რეგიონების მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შემუშავდა წინამდებარე 2011 წლის დეტალიზებული სამოქმედო გეგმა.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე 2011 წლის კომპლექსური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრების<sup>10</sup> და რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის<sup>11</sup> ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ინტენსიური მოღვაწეობის შედეგად.

ისევე როგორც 2010 და 2011 წლების სამოქმედო გეგმების, ასევე წლიური ანგარიშების შედგენისას, აგრეთვე სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს ხელისუფლებას აქტიურად ეხმარება სამი საერთაშორისო პროგრამა:

<sup>8</sup> [http://www.parliament.ge/index.php?sec\\_id=252&lang\\_id=GEO](http://www.parliament.ge/index.php?sec_id=252&lang_id=GEO)

<sup>9</sup> <http://ombudsman.ge/index.php?page=63&lang=0>

<sup>10</sup> <http://www.smr.gov.ge/uploads/file/IAC-sia-rekvizitebi.pdf>

<sup>11</sup> [http://smr.gov.ge/ge/ethnic\\_monorities/documents/doc1](http://smr.gov.ge/ge/ethnic_monorities/documents/doc1)

- „დანიის საქართველოს პროგრამა 2010-2013 სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“ - უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI<sup>12</sup>), ევროპის საბჭო (Council of Europe<sup>13</sup>), დანიის მთავრობა (Ministry of Foreign Affairs of Denmark<sup>14</sup>)
  - „საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ხელშეწყობა<sup>15</sup>“ - გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP Georgia<sup>16</sup>).
  - „საქართველოს ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამა<sup>17</sup>“ - საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA Georgia<sup>18</sup>), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID<sup>19</sup>)
- 

## 2011 წლის სამოქმედო გეგმის შედგენა ეფუძნებოდა რამოდენიმე მეთოდოლოგიურ მიდგომას:

- ✓ გამოყენებულია მთავრობის მიერ დამტკიცებული 2009-2014 წწ. „სამოქმედო ჩარჩო-გეგმის“ ძირითადი მიდგომები და განსახორციელებელი საქმიანობის აღწერის სტრუქტურული წარმოდგენა.
- ✓ წინამდებარე 2011 წლის სამოქმედო გეგმა სტრუქტურიზებულია ეროვნული კონცეფციის ექვი ძირითადი მიმართულების მიხედვით:
  1. კანონის უზენაესობა
  2. განათლება და სახელმწიფო ენა
  3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
  4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა
  5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია
  6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება
- ✓ წინამდებარე 2011 წლის სამოქმედო გეგმა სტრუქტურიზებულია ეროვნულ კონცეფციაში გამოყენებული დაგეგმვის მეთოდოლოგიური მიდგომით - დამტკიცებული კონცეფციის ექვსივე მიმართულებით დასახული იყო პრიორიტეტული ამოცანები:

<sup>12</sup> <http://ecmicaucasus.org/>

<sup>13</sup> <http://www.coe.int/>; <http://portal.coe.ge/>

<sup>14</sup> <http://www.um.dk/en>

<sup>15</sup> [http://undp.org.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=40&pr\\_id=73](http://undp.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=40&pr_id=73)

<sup>16</sup> [http://undp.org.ge/index.php?sec\\_id=1&lang\\_id=GEO](http://undp.org.ge/index.php?sec_id=1&lang_id=GEO)

<sup>17</sup> <http://diversity.ge/geo/aboutrcg.php>

<sup>18</sup> <http://www.una.ge/geo/>

<sup>19</sup> <http://georgia.usaid.gov/index.php?m=2&lang=geo>

ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები:	პრიორიტეტული ამოცანების რაოდენობა:
1. კანონის უზენაესობა	4
2. განათლება და სახელმწიფო ენა	5
3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	5
4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა	3
5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია	3
6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება	6

✓ 2011 წლის სამოქმედო გეგმის მომზადებისას/აგებისას კონცეფციის ეს ორი ძირითადი და ურთიერთდაკავშირებული მეთოდოლოგიური ცნება „მიმართულება->ამოცანა“ გაფართოვდა და დაუკავშირდა თითოეული პრიორიტეტული ამოცანის შესასრულებლად და შესაბამისად კონცეფციის მიზნების მისაღწევად გენერირებულ „ღონისძიებების/პროგრამების/აქტიობების“ დაჯგუფებულ სიმრავლეს.

✓ დაგეგმვისას გამოყენებული ფორმალიზებული მიდგომა განხორციელდა შემდეგი სქემით:

კონცეფციის მიმართულება -> გეგმის კომპონენტი/ამოცანა ->

-> გეგმის განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებები/პროგრამები/აქტიობები -> მათი ჩატარების ადგილი -> -> მათი განხორციელების ვადები და ხანგრძლივობა -> მათზე პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია ->  
-> უწყების/ორგანიზაციის პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი -> პარტნიორი უწყება/ორგანიზაცია ->  
-> ღონისძიების/პროგრამის/აქტიობის განხორციელებისას მოსალოდნელი შედეგები ->  
-> ამ მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები

✓ გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას რეალობამ მოითხოვა ერთი ახალი ამოცანის/კომპონენტის (5.4.) და ერთი დამატებითი, მთელი გეგმის განხორციელების პერიოდში „გამჭოლი“ აქტიობის (7.1.) დამატება:  

- 5.4. სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (ამ მიმართულებით 2011 წელს დაგეგმილია 5 აქტიობის განხორციელება);
- 7.1. ეროვნული კონცეფციის და 2011 წლის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების და შემდგომში განხორციელების პროცესის ხელშეწყობა, კოორდინირება, მონიტორინგი, კორექტირება და ანგარიშება (ამ მიმართულებით 2011 წელს დაგეგმილია 14 აქტიობის განხორციელება).

- ✓ ხაზგასასმელია, რომ 2011 წელს განსახორციელებლად დაგეგმილია უკვე 464 სხვადასხვა ღონისძიება, პროგრამა ან ცალკეული აქტიობა, როდესაც 2010 წელს მათი რიცხვი უმნიშვნელოდ აჭარბებდა 300.
- ✓ 2011 წლის დაგეგმვის ამ კომპლექსური პროცესის და მისი შედეგების ანალიზისათვის საინტერესოა რამოდენიმე მომენტი:
  - i. მთელი 2011 წლის განმავლობაში განსახორციელებელმა ანუ ხანგრძლივი პროგრამების რიცხვმა შეადგინა - 119;
  - ii. მათ შორის არის რამოდენიმე პროგრამა (როგორც წესი, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებია), რომელიც დაიწყო ან 2010-ში ან წინა წლებში და სრულდება ან 2011-ში ან მომდევნო წლებში;
  - iii. 2011 წლის გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე 37 ერდოიანი (არა ნაკლებ მნიშვნელოვანი კონფერენციების, სემინარების, ფესტივალების, კონცერტების, გამოფენების, პრეზენტაციების, დღესასწაულების აღნიშვნის და სხვა) აქტიობების ჩატარება;
  - iv. აღსანიშნავია, რომ მეხუთე მიმართულების „5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია“ ფარგლებში 2011 წელს ხორციელდება ყველაზე მეტი ღონისძიება/პროგრამა - სულ 271;
  - v. მათგან უმეტესობა კი - 251 აქტიობა არის დაგეგმილი მხოლოდ ერთი ამოცანის - „5.1.ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება“ განხორციელების ფარგლებში;
  - vi. 2011 წლის გეგმაში ცალსახად მნიშვნელოვანი როლი უკავია აგრეთვე კონცეფციის მექანიზმების მიმართულებას - „6.კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება“; მისი მიზნების განსახორციელებლად დაგეგმილია ჯამში 64 აქტიობა.
  - vii. 2011 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებულ იქნა პირველად ინოვაციური მიდგომა და ხელისუფლების ორგანოების მიერ (პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად) დაიგეგმა ისეთი პროგრამების/ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეესაბამება ეროვნული კონცეფციის ერთდროულად რამოდენიმე პრიორიტეტული ამოცანის რეალიზებას, მაგ. კონცეფციის ამოცანები:
    - 1.2. – 1.4. (სულ 1 აქტიობა)
    - 2.1. – 2.4. (სულ 1 აქტიობა)
    - 2.1. – 2.5. (სულ 1 აქტიობა)
    - 2.2. – 2.4. (სულ 2 აქტიობა)
    - 3.4. – 3.5. (სულ 1 აქტიობა)
    - 4.1. – 4.2. (სულ 1 აქტიობა)
    - 6.1. – 6.6. (სულ 4 აქტიობა)
    - 6.2. – 6.6. (სულ 11 აქტიობა)